თბილისის სააპელაციო სასამართლოს წლიური ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მესამე თავის 49-ე მუხლის თანახმად, წინამდებარე ანგარიშში ასახულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2021 წლის 9 დეკემბრიდან 2022 წლის 8 დეკემბრის მდგომარეობით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების შესახებ ინფორმაცია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი წესით.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს: სტატისტიკურ მონაცემებს, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, თბილისის სააპელაციო სასამართლოში მიღებულ სამართლებრივ აქტებს. ასევე, ინფორმაციას საქმეთა მიმდინარეობის/შედეგის შესახებ.

I. ინფორმაცია თბილისის სააპელაციო სასამართლოში შემოსული საჯარო ინფორმაციის რაოდენობის შესახებ:

2021 წლის 9 დეკემბრიდან 2022 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 303 განცხადება. თბილისის სააპელაციო სასამართლოში შესაძლებელია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, როგორც სასამართლოში განცხადების უშუალოდ წარმოდგენით, აგრეთვე განცხადებების ელექტრონული ფორმის წარმოდგენით ოფიციალური ვებ-გვერდის http://service.court.ge/public/ მეშვეობით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესო საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის № 1/225 გადაწყვეტილების მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ფარგლებში სასამართლო პერიოდულად ანთავსებს სტატისტიკურ ინფორმაციას.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა შემთხვევა არ არის დაფიქსირებული.

II. ინფორმაცია მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობისა და გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოხელეების შესახებ:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით თბილისის სააპელაციო სასამართლოში შემოსული განცხადებებიდან (303), საჯარო ინფორმაცია:

- მოთხოვნის შესაბამისად, სრულად გაიცა - 192 შემთხვევაში;
- 47 შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
- 58 შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
- 6 განცხადებაზე მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება;

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოში შემოსული განცხადებები, ხშირ შემთხვევაში, შეიცავდა საჯარო ინფორმაციის რამდენიმე მოთხოვნას. რიგ შემთხვევაში დაინტერესება შეეხებოდა ისეთ ინფორმაციას, რომელზეც სასამართლო სტატისტიკურ აღრიცხვას არ აწარმოებდა, სასამართლოს გადაწყვეტილებების დამუშავება (დეპერსონალიზაცია/დაშტრიხვა) და

სტატისტიკური მონაცემების შედგენა ხდებოდა მოთხოვნის შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში ცალ-ცალკე, ხოლო რიგ შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი გახდა ინფორმაციის (სტატისტიკური მონაცემების) არარსებობა ან/და მოთხოვნილი ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა" პუნქტის მიხედვით, შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს და განმცხადებელს არ წარმოუდგენია „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის" 44-ე მუხლის შესაბამისად, იმ პირთა თანხმობა, რომელთა შესახებ ითხოვდა ინფორმაციას.

გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე ან/და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღებოდა საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, სასასამართლოს კომპეტენტური სტრუქტურული ერთეულების მოხელეების უშუალო მონაწილეობით. კერძოდ, გადაწყვეტილებები მიიღეს შემდეგმა მოხელეებმა:

- ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა;
- სასამართლო კანცელარიისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსმა;
- სასამართლო კანცელარიისა და სტატისტიკის სამსახურის წამყვანმა სპეციალისტებმა და სპეციალისტებმა.

კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში განსაზღვრული არიან საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი მოხელეები, რომლებიც უზრუნველყოფენ შემოსულ კორესპონდენციაზე სათანადო რეაგირებას.

III. ინფორმაცია საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ:

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების მიზნებისთვის მონაცემების შეგროვებისას ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი, ხოლო აპარატის თანამშრომელთა მონაცემების დამუშავება ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში სასამართლოს მიერ პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდებოდა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა" და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

IV. ინფორმაცია საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ:

თბილისის სააპელაციო სასამართლოში თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები.

V. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები:

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემის

მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ეყრდნობოდა შემდეგ სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს:
1. „საქართველოს კონსტიტუციას“, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს;
2. სასამართლოს მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები არ იძლეოდა მოთხოვნილი ინფორმაციის შეგროვების/დამუშავების შესაძლებლობას ან/და თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოთხოვნილი ინფორმაცია დაცული არ იყო.

VI. ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე:

თბილისის სააპელაციო სასამართლოში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით გასაჩივრდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ოთხი გადაწყვეტილება. საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

VII. ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემის ხარჯებისა და ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ:

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 38-ე მუხლისა და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ კანონის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების საფასურმა შეადგინა - 0 თეთრი. (უმეტეს შემთხვევაში, განმცხადებელს პასუხი გაეგზავნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.)

ნატალია კალანდია

Natalia Kalandia 01012024572

Digitally signed by Natalia Kalandia
Date: 2022.12.09 11:11:51

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი